

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების
სამართლებრივი ასპექტები

გიორგი კვარაცხელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ
ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: უჩა ძიმისტარიშვილი, სამართლის მაგისტრი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

გიორგი კვარაცხელია

26.06.2019

აბსტრაქტი

XI საუკუნეში სამყაროს „გაციფროვნება“ და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება დიდი გამოწვევა აღმოჩნდა არამარტო იურისტებისთვის, არამედ რიგითი მოქალაქეებისთვისაც. არ არსებობს ადამიანი რომლის შესახებაც არ მუშავდება რაიმე სახის პერსონალური ინფორმაცია, რაც, თავისთავად, განაპირობებს საკითხის აქტუალურობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, სახელმწიფოებს ეკისრებათ როგორც ნეგატიური, ასევე - პოზიტიური ვალდებულება - ქვეყანაში შექმნან და უზრუნველყონ სათანადო პირობები და გარანტიები პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად. საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში აღნიშნულმა პრობლემამ ორმაგად იჩინა თავი.

ნაშრომში გამოყენებული და განხილულია ქართული კანონმდებლობის განვითარების პროცესი, წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის, როგორც მონაცემთა დაცვის სახელმწიფო გარანტორის მნიშვნელოვანი როლი მიმდინარე პროცესებში. გაანალიზებულია სახელმწიფო ინსპექტორის წლიური ანგარიშები და ის პრობლემური საკითხები, რომლებიც ინსპექტორის აპარატის მწვავე შეფასების საგანი გახდა. გარდა ამისა, ნაშრომი მიმოიხილავს ევროპის წამყვანი ქვეყნების პრაქტიკას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, რეკომენდაციებსა და იმ საერთაშორისო შეთანხმებებს, რომელთა რატიფიცირება მოახდინა საქართველოს პარლამენტმა.

სამაგისტრო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების შრომითსამართლებრივ ანალიზს. აღნიშნული საკითხისადმი განსაკუთრებული ყურადღების დათმობა განაპირობა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებულმა ურთიერთობების ვერტიკალურმა მოწესრიგებამ, რაც დამსაქმებელს დომინანტურ პოზიციაში აყენებს და ხშირად იმატებს რისკი იმისა, რომ დასაქმებულის სენსიტიური კატეგორიის მონაცემები არამართლზომიერად იქნება დამუშავებული.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია მკითხველს გააცნოს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით ქვეყანაში განხორციელებული ღონისძიებები და გამოარკვიოს პრობლემური საკითხები. საქართველოში პერსონალური

მონაცემების დაცვის განვითარების ისტორია სულ რაღაც 7-8 წელს ითვლის, მწირია სამეცნიერო ლიტერატურა და ნაშრომი შესაძლებელია სასარგებლო აღმოჩნდეს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში დასაქმებული იურისტებისა და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით მომუშავე პირებისთვის.

ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი სახის სამართლებრივი კვლევის მეთოდები: შედარებით-სამართლებრივი, ანალიტიკური, ლოგიკური, ისტორიული. ასევე, ვხვდებით დოკუმენტების შესწავლა-შედარებასა და პროგნოზირებებს ამა თუ იმ საკითხებზე.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში შევეცდებით დავამტკიცოთ შემდეგი ჰიპოთეზა: განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების კუთხით არსებობს მრავალი პრობლემა საქართველოში, რაც, უმთავრესად, განპირობებულია საკითხისადმი დაბალი ცნობიერებით, საჯარო და კერძო დაწესებულებათა მწირი ტექნიკურ-ორგანიზაციული ბაზითა და არასრულფასოვანი კანონმდებლობით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პერსონალური მონაცემი, განსაკუთრებული, სახელმწიფო ინსპექტორი, შრომითი ურთიერთობა, ადამიანის უფლებები.

Abstract

The “digitalization” of the world and the development of Information Technologies (IT) had appeared to be a huge challenge not only for lawyers, but for the ordinary citizens as well. There is no human being, about whom there is no personal data under processing, which by itself emphasizes the high significance of the subject matter. Considering above-mentioned, it is clear that governments should bear both – negative and positive responsibility to implement and ensure sufficient guarantees to create certain legal confines for processing of personal data. Mentioned issue has shown itself twice as important bearing in mind the Georgia’s Euro-Atlantic integration process.

This paperwork discusses and refers to the development process of relevant Georgian legislation, the personal data protection organ, as the vital role player from the government to ensure the effective protection of the personal data. Essay analyses the annual accounts from the personal data protection inspectors and those complicated issues, which had been the subject of strict and rough evaluation from the personal data protection organs. Additionally, paperwork highlights the practical experience of Europe’s leading nation states, the case law decisions of the European human rights court, recommendations and such international agreements, which have been ratified by the Georgian Parliament.

The essential part of this Master’s paperwork is dedicated to the various analysis of processing the special personal data from the perspective of labour law. The high significance and interest to the mentioned issue derives from vertical regulatory approach to the labor relationships between Employee and Employer. Such approach puts Employer in the dominant position over Employee and, correspondingly, increases the risk that the sensitive personal data of the employer might be processed unlawfully.

The central goal of below essay is to bring to the reader all the governmental procedures and efforts in terms of protecting the special personal information data and ascertain most problematic areas in this regard. In Georgia the history of personal data protection counts just 7-8 years, the scientific literature is very sparse and this paperwork should be relevant for the lawyers who are employed in both – public and private sectors.

The essay implements such legal research methods as: comparative legal, analytical, logical, historical. In addition, reader will find the comparisons between various legal documents and presumptions on different subject matters.

The final part of the essay asserts the following hypothesis: the processing of the special category personal data facec various difficulties in Georgia, which is essential caused by the low level of knowledge in this respect, as well as due to sparse organisational and technical basis and underdeveloped legislation mechanisms.

Words to search: Personal Data, special, government inspector, labour relationship, human rights